



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი

წევრები:

ელისო შურღაია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ხათუნა ტოტოჩავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მანანა ჯაყელი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

სოფიო მგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნატო შაინიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

თეონა ბერიკაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

სოფიო ჯგერენაია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

მაკა ყიფშიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნათია ბალხამიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	445740075

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30
საფოსტო ინდექსი	6010
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://progressbatumi.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	infobatumi@schoolprogress.ge.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	+995 595 641 272

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ



ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 6 24 0000558692 (22.05.2024 წ.). ცვლილება ბრძანებაში MES 6 24 0000625039 (05.06.2024 წ.)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	01, 02 ივლისი 2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ს ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილადის ქუჩა N30
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილადის ქუჩა N30
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილადის ქუჩა N30

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია, შეიმუშავა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ.

სკოლაში განხორციელებული ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: ადმინისტრაცია და მასწავლებლები. დაწყებითი საგნების საგნობრივმა ექსპერტმა მონაწილეობა მიიღო მასწავლებლებთან გასაუბრებაში და დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასებაში. ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილი მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	---

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1000	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო , საშუალო) პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი



ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	ხარვეზი
ინდიკატორი N 2.1.2.3		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	ხარვეზი
ინდიკატორი N 2.1.2.3		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად 07/29/2024-12/30/2024წ. პერიოდში განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა



ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	უცხოური ენა სასურველია, კურიკულუმის აღწერით ნაწილში, სადაც სკოლას მითითებული აქვს ევროსაბჭოს მიერ დადგენილი ენის ფლობის დონესთან შესაბამისობა კლასების მიხედვით, ასევე განისაზღვროს /გაიმიჯნოს მისაღწევი დონეები მოსმენა/კითხვა და წერა/ლაპარაკის მიხედვით. რჩევა: სხვადასხვა ტიპის დავალებისთვის განსაზღვრული პროდუქტი უნდა იძლეოდეს ცოდნის ტრანსფერისა და ცნებათა შორის ინტეგრაციის საშუალებას.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	დაწყებითი: სკოლამ მათ მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან შეარჩიოს რეალისტური, გაზომვადი და დროში გაწერილი რუბრიკები. ფიზიკური აღზრდა: სასურველია, დაიხვეწოს და შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ თემებთან შესაბამისი, მეტად კონკრეტული შეფასების რუბრიკები და ასევე გაიმიჯნოს თემატური ბლოკი, თემები და საკითხები. მე და საზოგადოება ჩვენი საქართველო დაიხვეწოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ბუნებისმეტყველება მეექვსე კლასში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმებში თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების შესაბამისობა სასურველია იყოს ბუნების ყველა საგნობრივ ცნებასთან. მეექვსე კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში თემის დასახელება წერია ჯანსაღი კვება, რის ნაცვლადაც უნდა ეწეროს თემა - ადამიანის სხეული და მისი ჯანმრთელობა



		სახელმწიფო ენა სასურველია სკოლამ შექმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და ჰქონდეს ყველა აქტივობისთვის შესაბამისად.
ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	მე და საზოგადოება ჩვენი საქართველო მკაფიოდ გამოიკვეთოს დამხმარე სასწავლო რესურსის შესაბამისობა; დაცული იყოს საავტორო უფლებები კომპიუტერული ტექნოლოგიები მასურველია სწავლის დაწყებამდე მოახდინოთ ყველა დამატებითი რესურსის ვალიდაცია, რომელსაც გამოიყენებთ სასწავლო პროცესში.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მეცნიერებები გასათვალისწინებელია ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავება. ბიოლოგიის საგნის მერვე კლასის კურიკულუმში თემას სიცოცხლის ორგანიზაციის დონეებს უნდა დაამატოთ ერთი სამიზნე ცნება - ჯანმრთელობა და დაავადება. უცხოური ენა სასურველია, კურიკულუმის აღწერით ნაწილში, სადაც სკოლას მითითებული აქვს ევროსაბჭოს მიერ დადგენილი ენის ფლობის დონესთან შესაბამისობა კლასების მიხედვით, ასევე განისაზღვროს /გაიმიჯნოს მისაღწევი დონეები მოსმენა/კითხვა და წერა/ლაპარაკის მიხედვით.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მეცნიერებები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის განსაზღვრული პროდუქტი უნდა იძლეოდეს ცოდნის ტრანსფერისა და ცნებათა შორის ინტეგრაციის საშუალებას. კომპიუტერული ტექნოლოგიები მასურველია სწავლის დაწყებამდე ყველა აქტივობა გაწეროთ მაგნობრივ კურიკულიუმში სახელმწიფო ენა სკოლამ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგინოს ინფორმაცია, თუ



		რამდენი საათი სჭირდება თითოეული თემის დაფარვას.
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები გეოგრაფიის მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმებში სასწავლო რესურსების გრაფაში - დაემატოს ბმულები, რა სახით იქნება გამოყენებული ფილმები, დოკუმენტური ფილმები.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები დაიხვეწოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლამ განსაზღვროს რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს შემდგომში მასწავლებელს მოსწავლისაგან.
ინდიკატორი AN 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მეცნიერებები ფიზიკის საგნის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მეშვიდე კლასში მითითებული არის სამიზნე ცნება სტრუქტურა . გაითვალისწინეთ რომ ფიზიკის საგნობრივი ცნება არ არის სტრუქტურა. ამავე კლასის განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები უნდა მიემართებოდეს საგნობრივ ცნებებს. ფიზიკის მერვე კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში თემის დასახელება სწორია, მაგრამ ასევე უნდა ეწეროს საგნობრივი ცნება და შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს საგნობრივ ცნებებს. ფიზიკის საგნის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საბაზო საფეხურზე სკოლას არ წარმოუდგენია. გამოგზავნილი აქვს მეცხრე კლასის ფიზიკის შემაჯამებელი დავალების ანალიზი, სადაც მცდარია თემის დასახელება, რადგანაც ფიზიკის მეცხრე კლასში არ არსებობს თემა ძალა. მითითებული საგნობრივი ცნებები მცდარია ,რადგანაც არ არსებობს ფიზიკაში ცნებები ფუნქცია ,ურთიერთქმედება.



		ბიოლოგიის საგნის მეშვიდე კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმებში უნდა ჩანდეს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების შესაბამისობა საგნობრივ ცნებებთან. ბიოლოგიის საგნის მეშვიდე და მეცხრე კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები უნდა იყოს მიმართული ჩამოთვლილი საგნობრივი ცნებებისკენ. სახელმწიფო ენა სკოლას ვურჩევდი, შექმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და ჰქონდეს ყველა აქტივობისთვის შესაბამისად.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურს გამოიყენება სასწავლო პროცესში;	საზოგადოებრივი მეცნიერებები მკაფიოდ აისახოს კურიკულუმებში (მაგ.: მე-8 კლ. ისტორია) სასწავლო რესურსები, როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამხმარე - დაემატოს ბმულები, რა სახით იქნება გამოყენებული ფილმები, დოკუმენტური ფილმები.
ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მეცნიერებები ძირითად რესურსებთან ერთად კურიკულუმში მიუთითეთ დამატებითი ელექტრონული რესურსები, რომელიც გქონდათ საბუნებისმეტყველო საგნების დეპარტამენტის სხდომის ოქმში წარმოდგენილი .
სტანდარტი 2	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	<i>რჩევა</i>
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა	საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მეცნიერებები გასათვალისწინებელია ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავება. მეათე კლასის ფიზიკის კურიკულუმს მეორე თემაში მუდმივი დენის კანონები უნდა დაემატოს ცნება ძალა. მეთერთმეტე კლასის ფიზიკის კურიკულუმს მესამე თემაში უნდა დაემატოს ცნება ძალა. საზოგადოებრივი მეცნიერებები ტექნიკურად გასწორდეს მე-12 კლასის კურიკულუმი. უცხოური ენა სასურველია, კურიკულუმის აღწერით ნაწილში , სადაც სკოლას



		მითითებული აქვს ევროსაბჭოს მიერ დადგენილი ენის ფლობის დონესთან შესაბამისობა კლასების მიხედვით, ასევე განსაზღვროს /გაიმიჯნოს მისაღწევი დონეები მოსმენა/კითხვა და წერა/ლაპარაკის მიხედვით.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მეცნიერებები სხვადასხვა ტიპის დავალებისთვის განსაზღვრული პროდუქტი უნდა იძლეოდეს ცოდნის ტრანსფერისა და ცნებათა შორის ინტეგრაციის საშუალებას. სახელმწიფო ენა სკოლამ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგინოს ინფორმაცია, თუ რამდენი საათი სჭირდება თითოეული თემის დაფარვას.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი სასურველი იქნება, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები დაიხვეწოს და შეიმუშაონ ისე, რომ ისინი იყოს მეტად კონკრეტული, შეესაბამებოდეს კურიკულუმში გაწერილ თემებს და მასში თანხვედრილი იყოს სტანდარტიდან გამომდინარე საბაზო საფეხურის კლასებისათვის შესაბამისი თემები და საკითხები.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მეცნიერებები ფიზიკის საგნის მეათე კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში შეცდომით წერია თემის დასახელება. მაგ: წერია მედმივი ელექტრული დენი და უნდა ეწეროს მუდმივი დენის კანონები. მეთერთმეტე კლასში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმებში უნდა ჩანდეს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების შესაბამისობა ჩამოთვლილ საგნობრივ ცნებებთან. შეფასების რუბრიკაში თემის დასახელება შესასწორებელია. მაგ: წერია ელექტრომაგნიტური ტალღები და უნდა ეწეროს ელექტროსტატიკა. სახელმწიფო ენა სკოლას ვურჩევდი, შექმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და ჰქონდეს ყველა აქტივობისთვის შესაბამისად.

ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საზოგადოებრივი მეცნიერებები ყურადღებით შეირჩეს დამხმარე რესურსები, მოწესრიგდეს კურიკულუმში წარმოდგენილი ბმულები, რამდენად სწორად მუშაობს, დაცული იყო საავტორო უფლებები.
ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მეცნიერებები ძირითად რესურსებთან ერთად მიუთითეთ ის ელექტრონული დამატებითი რესურსები, რომელიც გეგმავთ საბუნებისმეტყველო საგნების დეპარტამენტის სხდომის ოქმში წარმოდგენილი. საზოგადოებრივი მეცნიერებები უმჯობესი იქნება, თუ მე-10 კლასის ისტორიის კურიკულუმებს გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან ერთად დაემატება შესაბამისი დამხმარე რესურსიც. სასწავლო რესურსების გრაფაში - დაემატოს ბმულები, რა სახით იქნება გამოყენებული ფილმები, დოკუმენტური ფილმები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ 2024 წლის 01 აგვისტოს წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, კორესპონდენცია MES 6 24 0000933947. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წამოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ასევე უკვე განხორციელებული აქტივობის მტკიცებულება, რის შედეგადაც შეიცვალა კომპონენტების შეფასება. კერძოდ,

1. სკოლა გეგმავს პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენა) არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით სწავლებას. ვიზიტის დროს სკოლის მიერ შერჩეული ძირითადი სასწავლო რესურსი არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის გამოც ინდიკატორი და შესაბამისად კომპონენტი და სამივე საფეხურის სტანდარტი დასკვნის პროექტში შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 31/07/2024 წლის წერილი MES 7 24 0000925758 სახელმძღვანელოების შეთანხმების თაობაზე. შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.2.3. „კურიკულუმით

გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას“ დაკმაყოფილდა სამივე საფეხურზე და შესაბამისი კომპონენტის შეფასება სამივე საფეხურზე შეიცვალა შეფასებით „სრულად შეესაბამება“, რაც აისახა ასევე სამივე საფეხურის შეფასებაში.

2.სკოლას არ აქვს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზდობის სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ დოკუმენტის შეთანხმების ვადად განსაზღვრა პერიოდი 07/29/2024 -12/30/2024 წ. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას დაწყებული აქვს კომუნიკაცია აღნიშნული წესის შეთანხმების თაობაზე ექსპერტთა ჯგუფმა რელევანტურად მიიჩნია სკოლის მიერ განსაზღვრული შეთანხმების ვადა და კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეცვალა შეფასებით მეტწილად შეესაბამება.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისია წარმოადგენს განაცხადს იმის შესახებ, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას როგორც სკოლამდელი, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების მიმართულებით და უზრუნველყოფს დემოკრატიული ფასეულობების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, პროგრესულად მოაზროვნე თაობის აღზრდას, რომელიც მზად იქნება, უპასუხოს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დასავლური ღირებულებები. მისიის მიღწევის ინსტრუმენტად კი დასახელებულია საერთაშორისო

პროგრამების განხორციელება, უცხოური ენების გაძლიერებული სწავლება, STEM მიმართულება, სკოლამდელი და არაფორმალური, სამეწარმეო და პროფესიული განათლება. 7 წლის შემდეგ სკოლა საკუთარ თავს ხედავს როგორც რეგიონში გამორჩეულ საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც საზოგადოებას/მოზარდებს ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით სთავაზობს უწყვეტ საგანმანათლებლო მომსახურებას დაწყებული სკოლამდელი აღზრდის სერვისებიდან დამთავრებული პროფესიული განათლებით. ხოლო სკოლის კურსდამთავრებულებს - 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვილ მაღალმოთხოვნად კადრებად. სკოლის მისია და ხედვა არის ამბიციური, სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული და შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა აცნობიერებს, რომ მისიით დეკლარირებული ვალდებულებების (დემოკრატიული ფასეულობების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, პროგრესულად მოაზროვნე თაობის აღზრდა) და ხედვის (რომელშიც ჩანს სკოლის ამბიციური განაცხადი, რომ ის 2031 წლისთვის იქნება რეგიონში გამორჩეული საგანმანათლებლო სივრცე) რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო - კულტურული სივრცის შექმნით. შესაბამისად სტრატეგიულ გეგმაში სკოლა მიზნად ისახავს ექსტრაკურსულური პროექტებისა და აქტივობების განხორციელებას, სასწავლო გარემოთი და სწავლების ხარისხით მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების ზრდის ხელშეწყობას, დასაქმებულთა სამოტივაციო პოლიტიკის, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების და ჯანსაღი ცხოვრების პოლიტიკის დანერგვის უზრუნველყოფას. სკოლა იღებს ვალდებულებას შექმნას მოსწავლეთა მხარდამჭერი გარემო და უზრუნველყოს ყველა მოსწავლისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, სკოლაში დასაქმებული პერსონალის სამუშაო გარემოსთან ადაპტირება და განვითარება. ამერიკული სკოლა პროგრესის ღირებულებებია: პროგრესულობა, თანასწორობა, სამართლიანობა, ზრუნვა, გამჭვირვალობა, გუნდურობა. სკოლის ფილოსოფია მთლიანობაში მიმართულია სკოლის, როგორც საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის მიერ შემუშავებული და 2024 წლის 19 მარტის ბრძანებით (N01-03/07) დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის ფილოსოფიაზე მუშაობდა 2024 წლის 20 მარტის 01-03/09 ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა სკოლის ადმინისტრაცია. სკოლა არის პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში, შესაბამისად სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში სასკოლო საზოგადოების წევრები: მოსწავლე/მშობელი ვერ განისაზღვრა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლამ/ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფმა სკოლის ფილოსოფია გააზიარა სკოლის მომავალ მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება “შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა - პროგრესი ბათუმი “ სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა). ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 01-03/11 (25.03.2024წ) შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი ბათუმის-მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების თაობაზე;
- ბრძანება 01-03/09 (20.03.2024 წ.) მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის დამტკიცების თაობაზე;
- შინაგანაწესი. ბრძანება 01-03/13 (25.03.2024 წ) ;
- ვებგვერდი progresi.ge.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;



2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგია დამტკიცებულია შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის გენერალური დირექტორის მიერ 2024 წლის 19 მარტს (ბრძანება N01-03/07). მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სკოლის შიდა და გარე დაინტერესებულ პირთა ვინაობა და მათი ჩართულობა პროცესში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული პირების (სამუშაო ჯგუფში შემავალი სავალდებულო პირების) ნუსხა, რომელიც წარმომადგენლობითია და მოიცავს სასკოლო საზოგადოებას. სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპზე დაწესებულება გეგმავს დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას, რომელიც მუშავდება და წარმოადგენს სიტუაციის ანალიზის (შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით) საფუძველს. განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე ჯგუფის მიერ დაინტერესებულ მხარეთა გაზიარების პროცესში ჩართვის ინსტრუმენტები. სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირების გათვალისწინებით მუშავდება სტრატეგიული გეგმა და დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს. სამოქმედო გეგმის შემუშავებას წინ უსწრებს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების აქტუალობის შეფასება და გეგმების შესრულების ანგარიშის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, სკოლის მიერ შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით ახალ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში და ხდება მეთოდოლოგიით განსაზღვრული შესაბამისი ეტაპების განმეორება რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ციკლურობას. წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ემსახურება სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ამოცანების ან ამოცანების გარკვეული მოცულობის შესრულებას ერთწლიან პერიოდში. მიმდინარე ეტაპზე (სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია), სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასების შედეგები სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული არ არის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N01-03/07 (19.03.2024 წ) შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება 01-03/17 (25.03.2024 წ) შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის დამტკიცების თაობაზე;
- ბრძანება N01-03/27 (29.03.2024წ) ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის დამტკიცების თაობაზე;
- ბრძანება 01-03/26 (29.03.2024 წ) სტრატეგიული განვითარების გეგმის (2024-2031 წწ) დამტკიცების თაობაზე;
- ბრძანება 01-03/38 (04.04.2024 წ) ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2024-2025) დამტკიცების თაობაზე;
- 2024-2025 სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება ყოველ 2 წელიწადში (მათ შორის - ერთი მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიულის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე) და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში მინიმუმ ერთჯერ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების მიერ. მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის საკითხს, აკვირდება შესრულების ინდიკატორებს და ახდენს მათ სისტემატურ გადამოწმებას. მონიტორინგის მექანიზმებად განხილულია: მონაცემების შეგროვება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. შეფასება კი ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების, პარტნიორების ჩართულობა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესში და გაითვალისწინოს მათ უკუკავშირი, რომელიც შესაძლებელია მიღებული იქნას სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ან წერილობით (მათ შორის, სკოლის ელექტრონულ მისამართზე გადმოგზავნით).

2. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია შესაბამისად ინდიკატორი ვერ გადამოწმდა.

3. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია შესაბამისად ინდიკატორი ვერ გადამოწმდა.

4. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია შესაბამისად ინდიკატორი ვერ გადამოწმდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N01-03/07 (19.03.2024 წ) შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შესაბამეა

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის დამფუძნებლები არიან: შპს „პროგრეს ედუკეიშენ გრუპ“-ი და შპს „ანაგი განათლება“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის და სკოლის წესდების მიხედვით შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის უმაღლესი მმართველობითი ორგანო არის პარტნიორთა კრება. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას კი უძღვება დირექტორი. დირექტორს ნიშნავს და თნამდებობიდან ათავისუფლებს პარტნიორთა კრება. დირექტორის უფლება-მოსილება გაისაზღვრება წესდებით. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე განსაზღვრული დირექტორი სკოლის სტრუქტურაში წარმოდგენილია როგორც სკოლის გენერალური დირექტორი. (სტრუქტურის მიხედვით სკოლას ჰყავს ასევე აღმასრულებელი დირექტორი და დირექტორი). 18.06.2024 წლის პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით საზოგადოების დირექტორს მიენიჭა უფლებამოსილება საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებული ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისას განისაზღვროს - „გენერალური დირექტორის“ სახელწოდებით. იქვე წარმოდგენილია დაზუსტება, რომ კრების ოქმით მიღებული წესები გავრცელდა 2024 წლის 15 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე და ჩაითვალია ამავე თარიღიდან კომპანიის სახელით ამ ოქმით განსაზღვრულ სფეროში/საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების მოწონებად. გამომდინარე ზემოთთქმულიდან ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე განსაზღვრული დირექტორი სკოლასთან მიმართებით მოიხსენიება როგორც გენერალური დირექტორი.

სკოლას შემუშავებული აქვს ორგანოგრამა (ბრძანება 01-03/06 (10.03.2024 წ). ცვლილება ბრძანებაში 01-03/58(20.05.2024 წ), რომელიც ასახავს ორგანიზაციის შემადგენლობას, იერარქიის განსხვავებულ დონეებს, სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთმიმართებებს. სკოლის ორგანიზაციული მოწყობისას გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის პარალელურად საქმიანობის განხორციელებას გეგმავს პროფესიული განათლების მიმართულებით. თუმცა არ ჩანს სკოლამდელი აღზრდის მიმართულება, რომლის განხორციელების უფლების მოპოვება იგეგმება მოგვიანებით (მომდევნო წლებში). სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციათა აღმწერში მითითებულია პირის/სტრუქტურული ერთეულის სამუშაო პირობები

(განაკვეთი, სამუშაო გრაფიკი, ურთიერთჩანაცვლება), ფუნქცია/მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მოთხოვნები კომპეტენციასა და პიროვნულ მახასიათებლებზე, ანგარიშგების ვალდებულება და ანგარიშგების ფორმები. სამუშაო აღწერილობები მკაფიოა, ხოლო საშტატო განრიგით განსაზღვრული თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე როგორც ძირითად, ასევე მმართველობითი და დამხმარე პროცესების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 01-03/06 (19.03.2024 წ.) და ცვლილება ბრძანებაში 01-03/58 (20.05.2024 წ.);
- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი;
- სკოლის წესდება;
- შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის ს/ნ 445740075 კრების ოქმი (18.06.2024 წ.).

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანწესით და ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტით. საკადრო პოლიტიკა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების, საქმიანობის შეფასების, პერსონალის განვითარებისა და საქმიანი კარიერის, პერსონალის ქცევის მართვა, შრომითი საქმიანობის მოტივაცია და სტიმულირება სკოლას განსაზღვრული აქვს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში. ამავე დოკუმენტის მიხედვით ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დაეფუძნება Deming PDCA ციკლს (დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - განავითარე). სკოლაში დასაქმებული კადრების შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს ობიექტურობის, გამჭვირვალობის და პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებას. ვაკანტური პოზიციის განაცხადი იქმნება სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა დასაშვებია როგორც კონკურსის საფუძველზე, ასევე მის გარეშე. მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მიხედვით. შინაგანწესით რეგულირდება სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სკოლაში თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება, შრომითი ურთიერთობების პირობები, ზეგანაკვეთურისა და შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა, რომლის მე-12 მუხლით განსაზღვრულია საჭიროებაზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისთვის სკოლა იღებს ვალდებულებას მოახდინოს ადამიანური რესურსის საჭიროების დროული ანალიზი, სკოლაში მიმდინარე მართვისა და ოპერაციული პროცესების გამართული ფუნქციონირებისათვის პერსონალის სამუშაო აღწერილობებში გაწერილია ურთიერთჩანაცვლების საკითხები, რათა საჭიროების შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.) მიზნობრივად იქნას განხორციელებული ფუნქციების დელეგირება სხვაზე იმგვარად, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე მართვისა თუ ოპერაციული პროცესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობები. სკოლის ადამიანური რესურსების სამსახური ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა დასაშვებია, როგორც კონკურსის საფუძველზე, ასევე მის გარეშე. რაც შეეხება მასწავლებელთა კორპუსს, მათი შერჩევა/დასაქმებისას სკოლა ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის



დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი წესებით. დაწესებულებამ ადგილზე ვიზიტისას წამოადგინა ვაკანსიის გამოცხადების, მასწავლებლის შერჩევისათვის შესაბამისი კომისიის შექმნის შესახებ გამოცემული ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტები, კანდიდატებთან გასაუბრების დროს წარმოებული ოქმები. შესაბამისი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, გათალისწინებულია საპრეტენზიო კომისიის შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პერსონალთან გაფორმებულია შეთანხმება სამომავლო შრომით ურთიერთობებზე, სკოლამ წამოადგინა ასევე კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც გაფორმდება სკოლის მიერ ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის ფილოსოფიით განსაზღვრულ ღირებულებებში ერთ-ერთია გუნდურობა, სამუშაო აღწერილობებში სკოლა მომავალი დასაქმებულის კომპეტენცია/პიროვნულ მახასიათებლებში ასევე ითხოვს გუნდური მუშაობის უნარს. ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში სკოლა გადაწყვეტილებებს ღებულობდა გუნდურად, რაც გამოიხატა დეპარტამენტების მიერ ერთობლივ დაგეგმილ საქმიანობაში, მასწავლებლების აყვანის პროცედურებში, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6.სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებას აკავშირებს დასაქმებულის მოტივაციასთან და შესაბამისად მოტივაციის ამაღლების მიზნით იყენებს წახალისების ფორმებს: მაღლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. თანამშრომელთა მოტივირების მიზნით სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს წარმატებული გამოცდილების აღიარება და მიღწევის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება. სკოლა გეგმავს უზრუნველყოს ასევე წარმატებული გამოცდილების გაზიარება თანამშრომელთა შორის სამუშაო შეხვედრის, ღია მეცადინეობებს, კონსულტირების და სხვა ფორმატით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება № 01-03/05 (19.03.2024 წ) ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
- ბრძანება № 01-03/13 (25.03.2024 წ) და ცვლილება ბრძანებაში №01-03.67 სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრების ოქმები;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- შინაგანაწესი;



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების მიზანს წარმოადგენს პერსონალის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების დადგენა და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის მიზნობრივი განვითარებისათვის. პერსონალის შეფასების ორგანიზებულად დაგეგმვისა და მართვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა და პროფესიულ მასწავლებელთა შეფასების პოლიტიკის წესი. პერსონალი შეფასებას ექვემდებარება შესაბამის თანამდებობაზე სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების დაწყებიდან არანაკლებ 3 (სამი) თვის შემდეგ. შეფასების ინსტრუმენტებად განსაზღვრულია პერსონალის შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ, გაკვეთილზე დაკვირვება, მშობლისა და მოსწავლის გამოკითხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



2. სკოლა გეგმავს შეფასების შედეგების მიხედვით დაგეგმოს პერსონალის პროფესიული განვითარება, განსაზღვროს სწავლების საჭიროება დასაქმებულის ინდივიდუალური განვითარებისათვის. ადამიანური რესურსების სამსახური, შეფასებულსა და მის უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით შეადგენს პერსონალის განვითარების ინდივიდუალურ გეგმას და უზრუნველყოფს მის აღსრულებას. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება სკოლას განსაზღვრული აქვს როგორც სტრატეგიულ გეგმაში ყოველ წელს, ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა კადრების მართვის სისტემაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა გეგმავს ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას, რისთვისაც პერსონალის შეფასებიდან გამომდინარე სკოლა მოახდენს პერსონალის კარიერული განვითარების დაგეგმვას, თანამშრომლის დაწინაურებას, გადაყვანას შესაბამის პოზიციაზე, სამუშაოს გამრავალფეროვნებას და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან უზრუნველყოფს სკოლის ადამიანურ რესურსების განვითარების სამსახური. დასაქმებულის სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით განისაზღვრება ყველა ის თემა, რომელთა მიმართებაშიც თანამშრომლისთვის პირველივე ეტაპზე საჭიროა შესაბამისი ინფორმირება/მხარდაჭერა და ხდება მისი მხარდაჭერა ყველა საჭირო ინფორმაციითა და სამუშაოს ჯეროვნად შესრულებისათვის საჭირო პირობებით. ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესში ჩართულია ასევე მისი უშუალო უფროსი, საჭიროების შემთხვევაში, იდენტიფიცირებული თემიდან გამომდინარე, სხვა თანამშრომლებიც. მასწავლებლის პოზიციაზე შერჩეულ კანდიდატებს, რომელსაც არ აქვთ ზოგადი განათლების სისტემაში სწავლებისა და შეფასების გამოცდილება, სკოლა გეგმავს სწავლების დაწყებამდე ჩაუტაროს შესაბამისი ტრენინგი/კონსულტაცია. ადამიანური რესურსების სამსახურის მიერ შემუშავებულია „გზამკვლევი სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტირებისთვის“ რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლა გეგმავს, რომ ხელი შეუწყოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, რომელიც შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგად ან პერსონალის მხრიდან მომართვის საფუძველზე. გამოკვეთილი ინიციატივებს სკოლა განიხილავს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და რისკებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით დაგეგმავს განსახორციელებელ ღონისძიებებს. პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ბიუჯეტს კი ასახავს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის 19 მარტის № 01-03/05 ბრძანებით ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
- მასწავლებელთა და პროფესიულ მასწავლებელთა შეფასების პოლიტიკის წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა განხორციელდება „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტის შესაბამისად. პოლიტიკის დოკუმენტით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ხარისხის



მართვის სამსახური. წარმოდგენილ დოკუმენტში იდენტიფიცირებულია სკოლაში მიმდინარე ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები. თითოეული პროცესი ჩაშლილია ქვეპროცესებად და საჭიროების შემთხვევაში მითითებულია ის შიდა ნორმატიული აქტები და ის ადამიანები/სტრუქტურული ერთეულები, რომელიც არეგულირებს და მართავს პროცესებს. ხარისხის განვითარების ციკლი ეფუძნება დემინგის “PDCA” სქემას, რომელიც იძლევა სკოლის უწყვეტი განვითარების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას შინაგანაწესში დადგენილი აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც სკოლაში გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. სკოლაში პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების არასასურველი შედეგები კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში გათვალისწინებულ ვადებში და შესაბამისი წესით. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით სკოლის თანამშრომლები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლებენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე დადგენილი წესით და აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. დისკრიმინარული ღონისძიებები. მშობლებთან ურთიერთობის დებულებაში გაწერილია მხარეთა უფლება-ვალდებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 01-03/21 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე (25.03.202 წ.);
- ბრძანება №01-03/13 შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე (25.03.2024 წ.).

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების განხორციელებას გეგმავს სხვადასხვა არხებით, მათ შორის: მშობლებთან და მოსწავლეებთან პირისპირ აქტიური კომუნიკაციით დამრიგებლების საშუალებით (ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლების მოვალეობაა მოსწავლეებს, მშობლებს/მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია), ელექტრონული ჟურნალით, ელფოსტით და ვებგვედით. სასკოლო საზოგადოებიდან უკუკავშირის მისაღებად დაგეგმილია სხვადასხვა სახის გამოკითხვის ჩატარება, შედეგების გაანალიზება და შესაბამისი რეაგირებების დაგეგმვა/განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შემუშავებული სტრუქტურული ერთეულებისა და ცალკეული პოზიციებზე დასაქმებულთა დებულებებისა და სამუშაო აღწერილობების მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია ისეთი კოლეგიალური ორგანოები როგორიცაა: პედაგოგიურ საბჭო, საგნობრივი დეპარტამენტები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელთა ასოციაცია, საჭიროების შემთხვევაში ისგ ჯგუფები. თითოეული აღნიშნული სტრუქტურული ორგანო ჩართულია მისდამი დაქვემდებარებული საკითხების შემუშავებასა და მართვაში. კერძოდ, პედსაბჭო მონაწილეობს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/განხილვა. საგნობრივი დეპარტამენტები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, ვალიდაციას უკეთებენ დამხარე რესურსებს, დეპარტამენტის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. მოსწავლეთა თვითმმართველობა მონაწილეობს იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლის ადმინისტრაციას ინიციატივით მიმართავს სასკოლო კლუბების შექმნის თაობაზე. მშობელთა ასოციაციის ფუნქციონირება უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას სკოლის დირექციასა და მშობლებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 01-03/47 .პედაგოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე (05.04.2024 წ.);
- ბრძანება 01-03/48 დამრიგებლის დებულების დამტკიცების თაობაზე (05.04.2024 წ.);

- ბრძანება 01-03/45 საგნობრივი დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე (05.04.2024 წ.);
- ბრძანება №01-03/39 მშობელთა ასოციაციის დებულების დამტკიცების თაობაზე (05.04.2024 წ.);
- ბრძანება 01-03/49 მოსწავლეთა თვითმართვებლობის დებულების დამტკიცების თაობაზე (05.04.2024 წ.);
- ბრძანება 01-03/24 ინკლუზიური განათლების დებულების დამტკიცების თაობაზე (25.03.2024 წ.).

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა გეგმავს მაქსიმალურად უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია და შეზღუდულია სკოლის შიდა პერიმეტრზე ნებართვის გარეშე გადაადგილება. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სამსახური, რომელიც ექვემდებარება დირექტორს და რომლის ფუნქციასაც სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. სკოლის შიდა პერიმეტრზე, შიდა ეზოსა და შესასვლელში განთავსებულია ვიდეოსამეთვალყურეო კამერები. ვიზიტის პერიოდში სკოლაში შეიძინა დამატებით ვიდეოკამერები, რომელიც დამონტაჟდება კიბის უჯრედებში და სრულად მოხდება სკოლის ტერიტორიის გაკონტროლება. ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები ბრძანებითაა განსაზღვრული.

ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ (28/09/2022 წლის წერილი N5006653322. დასკვნა N 006728322) დასკვნის მიხედვით შენობა „შესაძლებელია გადაეცეს უსაფრთხო სრულ ექსპლოატაციაში“. სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 21.05.2024 წლის წერილი MIA 1 24 01478541. 28.09.2022 წლის წერილით, MIA9 22 02714376 დგინდება, რომ შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. სკოლას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა (დამტკიცების ბრძანება N01-03/53) და გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება კომპანია ჯეო სეიფტისთან რომელმაც გამოყოფა სკოლისთვის შრომის უსაფრთხოების 2 სერთიფიცირებული სპეციალისტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა არის პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის შეფასება ვერ განხორციელდა, თუმცა მზაობა ამ მიმართულებით სკოლას აქვს. სკოლას შემუშავებული და 2024 წლის 25 მარტის №.01-03/14. ბრძანებით დამტკიცებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესი. წარმოდგენილი წესის მიხედვით სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ძირითადი ფუნქციად სკოლაში მოსწავლეების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და თანამშრომელთათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევაა განსაზღვრული. სკოლის სამედიცინო პერსონალის ვალდებულებაა ასევე ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების და ეპიდემიის შემთხვევაში, პრევენციის მიზნით, სკოლაში კონსულტაციების, დახმარების და პრევენციული სტრატეგიის შემუშავება. სკოლას ჰყავს 2 ექთანი. სკოლას ჰქონდა ექიმის ვაკანსია teacherjobs.ge-ზე, თუმცა ექიმი ვერ იქნა შერჩეული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



3. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სამსახური. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას იგეგმება მასწავლებელთა მორიგეობა. გარეშე პირთა გადაადგილება თავისუფლად სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია. განსაზღვრულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შესატანხმებლად გაგზავნილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წესი. აღნიშნული წესი ვიზიტის პერიოდში არ იყო შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ დოკუმენტის შეთანხმების ვადად განსაზღვრა პერიოდი 07/29/2024-12/30/2024წ. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას დაწყებული აქვს კომუნიკაცია აღნიშნული წესის შეთანხმების თაობაზე ექსპერტთა ჯგუფმა რელევანტურად მიიჩნია სკოლის მიერ განსაზღვრული შეთანხმების ვადა და კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეცვალა შეფასებით მეტწილად შეესაბამება.

4. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაცია /მექანიზმები. შემუშავებული მექანიზმები ითვალისწინებს საინფორმაციო და პრევენციული აქტივობების განხორციელებას, ფსიქოლოგიური შინაარსის კონფლიქტების მართვის სტრატეგიებს, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნისა და დაცვის აქტივობებს. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 2 ფსიქოლოგი, რომელთა მოვალეობასაც, საჭიროებიდან გამომდინარე, წარმოადგენს მოსწავლეთა პირველადი სკრინინგის განხორციელება, ინდივიდუალური და ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვა, რეკომენდაციების გაწევა მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კონტიგენტისთვის განსაკუთრებული რისკების მქონე (სუიციდი, დეპრესია, პიროვნული აშლილობა, სტრესის შედეგად წარმოქმნილი სხვადასხვა სახის პიროვნების არაადაპტირებული მდგომარეობები და ა. შ.) მოსწავლეთა გეგმიური ფსიქოკონსულტაციების ინდივიდუალური ფორმის და ჩარევის გეგმის შემუშავება, მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება ფსიქოგანათლების საკითხებში. შემუშავებულია სასკოლო გარემოს შეფასების კითხვარი, რომლის შეფასების საგანს, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგენს სკოლაში არსებული გარემოს და სკოლის მიერ მშობლებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების, ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების შესახებ განხორციელებული საუბრების შეფასება. სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამები. დამრიგებლის მუშაობის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს აღზრდის მთლიანობა, რაც გულისხმობს - საადმინისტრაციო მუშაობის წარმართვას პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისკენ, ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი მოქალაქის აღზრდას, სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კითხვარი, რომლითაც მოხდება სკოლაში ძალადობისა და ბულინგის მართვის პრაქტიკის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლა გამოხატავს მზაობას ფუნქციონირების შემთხვევაში უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა რისთვისაც შემუშავებული და 2024 წლის 22 მაისს დამტკიცებული აქვს (ბრძანება 01-03/60) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. წარმოდგენილი წესით განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 8 დიასახლისის დასაქმება, რომელთა ვალდებულებასაც წარმოადგენს სკოლაში ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზრუნვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვა რისთვისაც შპს „ჯეო სეიფთისთან“, რომელიც მას უწევს მომსახურებას შრომის უსაფრთხოების მიმართულებით გაფორმებული აქვს შეთანხმება (14.06.2024 წ.) პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე დამატებითი მომსახურების გაწევის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის პროცედურის გეგმა გაწერილი თვეებისა და კვირების მიხედვით. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

7. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი, რომლის თანახმადაც ოპერაციული სისტემები დაცული იქნება მავნე კოდის მქონე პროგრამებისგან და ვირუსებისგან, კომპიუტერებში დაინსტალირებული ანტივირუსული უზრუნველყოფის დახმარებით, კომპიუტერული ტექნიკის გამართული მუშაობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით IT სპეციალისტის მიერ განხორციელდება სისტემის მონიტორინგი არანაკლებ თვეში ერთხელ. პერიოდულად მოხდება ყველა კრიტიკული სისტემის, პროგრამული უზრუნველყოფის და ძირითადი მონაცემის სარეზერვო ასლების აღება (Backup). ყველა თანამშრომელი ვალდებულია, პერიოდულად მოახდინოს მის განკარგულებაში არსებული სკოლისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის თავმოყრა, დაარქივება და ასლის სხვადასხვა წყაროებში (ე.წ. „ქლაუდ სერვისები“/USB ინფორმაციის მატარებელი/ google drive/ინფორმაციის საცავი სერვერი) შენახვა. სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურების გაწევის ხელშეკრულება შ.პ.ს. პროსერვისთან. რომელიც იღებს ვალდებულებას დამკვეთისათვის, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შექმნას „დომენების“ dns ჩანაწერი და უზრუნველყოს მისი კუთვნილი სერვერების მუდმივი მონიტორინგი უსაფრთხოებაზე, მოახდინოს ვებ გვერდის სარეზერვო კოპიის შენახვა ყოველ 3-10 დღეში და ვებგვერდის არასანქცირებული დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა სარეზერვო კოპიოდან. შემსრულებელი იღებს ასევე ვალდებულებას დაიცვას კონფიდენციალურობა დამკვეთის მიერ მოწოდებულ და სერვერზე განთავსებულ მასალაზე, არ შეინახოს და არ გაავრცელოს ისინი დამკვეთის ნებართვის გარეშე. იმავე მიმწოდებელთან სკოლას გაფორმებული აქვს დომენურ სახელის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ხელშეკრულება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით სკოლას განსაზღვრული აქვს მონაცემთა დაცვის პრინციპები, მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, ვიდეომონიტორინგის/ აუდიომონიტორინგის ჩანაწერების მიმღებთა წრე და დამუშავებისა და განადგურების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**



8.სკოლა განახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირება სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესების ჩამონათვალს მიკუთვნებული საკითხია. მისი ქვეპროცესებია: უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები და სკოლის ვიდეოთვალთვალის/აუდიოჩამწერი სისტემით აღჭურვის, ადმინისტრირების, პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გამოყენების წესის ამოქმედება. აღნიშნული ქვეპროცესების მონიტორინგი განხორციელდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების (ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმის მიხედვით სკოლის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება იგეგმება 2025 წლის თებერვალ-მარტში. შეფასების ინსტრუმენტად განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების და პროფესიულ განათლებაში ჩართული პირების გამოკითხვა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლა) გათვალისწინებით. სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ჩასაღრმავებლად შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოყენებულ იქნას ინტერვიუ/გამოკითხვა/ფოკუს ჯგუფი. შეფასებების საფუძველზე ანგარიში მიეწოდება გენერალურ დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება. კარგი პრაქტიკა გაზიარდება თანამშრომლებთან.

ინდიკატორი დამაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშტატო განრიგი

- ფსიქოლოგის სამუშაო აღწერილობა;
- ბრძანება N01-03/70 ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს დებულების დამტკიცების თაობაზე (02.07.2024 წ.) ;
- ბრძანება N01-03/35 ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესის დამტკიცების თაობაზე (30.03.2024 წ.) ;
- ბრძანება 01-03/21 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე (25.03.2024 წ.);
- სკოლის სტრუქტურა;
- ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილი 28/09/2022 წ. N5006653322 ;
- 21.05.2024 წლის წერილი MIA 1 24 01478541;
- წერილი MIA9 22 02714376 შენობის სახანძრო მდგომარეობის შესახებ დასკვნა;
- ჯეოსეიფთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ბრძანება №.01-03/14 პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესის დამტკიცების თაობაზე (25.03.2024 წ.);
- წერილი 01-11/06 (04.04.2024წ) გაგზავნილი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმების თაობაზე;



- ბრძანება 01-03/70 ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს დეზულების დამტკიცების თაობაზე;
- ბრძანება 01-03/60 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე. (22.05.2024 წ.);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი;
- ბრძანება №01-03/15 პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მექანიზმების დამტკიცების თაობაზე (25.03.2024 წ.);
- ბრძანება N01-03/71 უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მიზნით სკოლის უკონტაქტო შემოწმების კონტროლზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ (02.07.2024 წ.).

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ ქალაქ ბათუმში, ვახტანგ შამილადის ქუჩა N30 - ში მდებარე შენობა N1 და შენობა N2 საერთო ფართობით 5298,1 კვ.მ და შენობა N3 უფლების დამდგენი დოკუმენტის გარეშე წარმოადგენს შპს „ქართულ - ამერიკული აკადემია პროგრესის“ საკუთრებას. ვიზიტის პერიოდში აღნიშნული შენობების მოიჯარე იყო შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი. ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის იჯარის საბოლოო თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის 25 აგვისტო. იმავე ამონაწერში მითითებულია, რომ ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესი კისრულობს ვალდებულებას, დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში გადასცეს საიჯარო ქონება მოიჯარეს, შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმს 2024 წლის 25 აგვისტოდან 10 წლის ვადით. წინარე იჯარის ხელშეკრულების დამოწმების თარიღია 28.03.2024 წ. ამრიგად, შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლას აღნიშნული ფართი იჯარით გადაეცემა 2024 წლის 25 აგვისტოდან 10 წლის ვადით. წინარე იჯარის ხელშეკრულებით (2024 წლის 18 მარტი) კი შპს ქართულ ამერიკული აკადემია პროგრესი შპს ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს იჯარის საგანს ვახტანგ შამილადის ქუჩა N30-ში არსებული უძრავ ქონებს (მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით) გადასცემს ინვენტარით. სულ სკოლაში არის 46 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ტექნოლოგიების ლაბორატორიები, რესურს ოთახი, 2 ოთახი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის (A გარემო და B გარემო), სპორტული დარბაზი გასახდელებით, საშხაპეებითა და სველი წერტილებით, სველი წერტილები განლაგებულია ყველა სართულზე ცალ-ცალკე გოგონების, ვაჟებისა და შშმ მოსწავლეებისათვის. სკოლამ წარმოადგინა 1284 სასკოლო მერხისა და სკამის ასევე დაფების, კომპიუტერების, ლაბორატორიების ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც მას გადაეცემა სამომავლოდ. ყოველივე ზემოთთქმული ადასტურებს, რომ ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმს ექნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი რათა უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობა ავტორიზაციის ვადით, მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი საშუალებას იძლევა სასკოლო საზოგადოებამ წარმატებით განახორციელოს სხვადასხვა აქტივობები და დაისვენოს სრულფასოვნად. სკოლას აქვს შიდა ეზო, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, კვების ბლოკი, IT და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, ადმინისტრაციული სივრცე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. 2024 წლის 25 მარტის №01-02/12 ბრძანებით სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება. დებულებით რეგულირდება ბათუმის ბიბლიოთეკის და მასში არსებული რესურსების სარგებლობის წესები. წარმოდგენილი დებულება განსაზღვრავს ბიბლიოთეკის მიზანსა და ამოცანებს, ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითად პრინციპებს. არეგულირებს: საბიბლიოთეკო ფონდიდან წიგნების გატანა-დაბრუნებას, სამკითხველო დარბაზში წიგნის გატანისა და ქცევს წესებს, სკოლის ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესს, საბიბლიოთეკო რესურსების დაზიანება/დაუბრუნებლობის შემთხვევაში სანქციებს. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს საკომუნიკაციო მომსახურების პროდუქტი „ელექტრონული ბიბლიოთეკის“ შესყიდვაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები შშმ პირებისათვის. სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, გამოყოფილია რესურს ოთახი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



5.სკოლის საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, სააქტო და სპორტული დარბაზები, კვების ბლოკი, შიდა ეზო, ბიბლიოთეკა და დერეფნის სივრცეები კარგი საშუალებაა დასვენების, სოციალური ინტერაქციისა და ჯგუფური აქტივობების განსახორციელებლად. აღნიშნული სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, მათ შორის, შშმ პირებისათვის. ზემოთ ჩამოთვლილი სივრცეების დიზაინი მიმზიდველი, კომფორტული და ხელსაყრელია სოციალიზაციისათვის. აღნიშნული სივრცეების შესახებ ინფორმაცია (სურათები) განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. ისინი განკუთვნილია საგანმანათლებლო მიზნების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების, სემინარების, სპექტაკლების, შეხვედრების ორგანიზების და სხვა გამოყენებისათვის. სივრცეები ადაპტირებადია სხვადასხვა აქტივობებისათვის. ხელმისაწვდომია Wi-Fi კავშირი. სოცო - კულტურული სივრცეებით სარგებლობისას სასკოლო საზოგადოებაზე ვრცელდება სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 882024961202 - 01/07/2024 12:27:07);
- შეთანხმება 2024 წლის 2 აგვისტოს დადებული იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე (28.03.2024 წ.);
- შეთანხმება 01-14/02 შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესსა და შპს ამერიკულ საერთშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმს შორის;
- წინარეიჯარის ხელშეკრულება (28.03.2024 წ.) გაფორმებული შპს ქართულ-ამერიკულ აკადემია პროგრესსა და შპს ამერიკულ საერთშორისო სკოლა პროგრესი ბათუმს შორის;
- ბრძანება №.01-02/12 ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების თაობაზე. (25.03. 2024 წ.);
- ბრძანება N01-03/43 ლაბორატორიით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე (05.04.2024 წ.),

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის IT ინფრასტრუქტურა შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი ბათუმს გადაეცემა შპს ქართულ - ამერიკულ აკადემიას პროგრესის მიერ მათ შორის გაფორმებული 2024 წლის 01 აპრილის შიდა შეთანხმებით. აკადემია სკოლას გადასცემს მატერიალურ ტექნიკურ ბაზებს, მათ შორის, IT ინფრასტრუქტურას. სკოლას შემუშავებული და 2024 წლის 30 მარტის №01-03/35 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების მიზნობრიობის დაცვას, თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური. სკოლაში სასწავლო ადმინისტრაციული პროცესები სრულფასოვნად წარმართვისათვის აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები სკოლის პერსონალს, მასწავლებელს, სასწავლო პროცესში ჩართულ პირებს უზრუნველყოფენ შესაბამისი პირობებით სწავლისა და საქმიანობისათვის. ადმინისტრაციულ პერსონალს აქვს პერსონალური კომპიუტერი/ლეპტოპი. ადმინისტრაციის პერსონალის სამუშაო ოთახში განთავსებულია პერსონალის უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო აუცილებელი ტექნიკა. სკოლის კომპიუტერული ტექნიკა დაკავშირებულია ერთმანეთთან შიდა ქსელის საშუალებით, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ქსელი დაყოფილია ქვექსელებად. სკოლა იყენებს ინტერნეტს, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ფიზიკური კავშირით (სადენებით), ასევე, უსადენო ქსელით (wifi). სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია უკაბელო წვდომის წერტილები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესის მიხედვით სკოლის IT ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის სამუშაო საათებში და/ან ნებისმიერ დროს სასწავლო/სამუშაო მიზნებისათვის და/ან სკოლის მიერ ორგანიზებული ღონისძიებებისთვის. სასწავლო პროცესში ჩართულ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ სკოლის სარგებლობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკით, გარდა ა) ადმინისტრაციის სარგებლობისათვის გამოყოფილი კომპიუტერული ტექნიკისა და ბ) თუ ეს ხელს არ შეუშლის სასწავლო და/ან სამუშაო პროცესს, არ გამოიწვევს მათ დაზიანებას ან არამიზნობრივ გამოყენებას. IT ინფრასტრუქტურით სარგებლობის შემთხვევაში მოსწავლეს/პროფესორს სტუდენტს და პერსონალს არ აქვს უფლება IT თანამშრომლის თანხმობის/ნებართვის გარეშე მოახდინოს პროგრამების ინსტალაცია, ინსტალირებული პროგრამების წაშლა ან

განახლება, სხვა ტექნიკური საშუალებების მიერთება გარდა იმ შემთხვევებისა თუ ეს არ არის პროგრამის ნაწილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი ბათუმსა და შპს ქართულ - ამერიკულ აკადემიას პროგრესს შორის გაფორმებული 2024 წლის 01 აპრილის შიდა შეთანხმება;
- ბრძანება №01-03/35 ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესის დამტკიცების თაობაზე (30.03. 2024 წ.).

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მომზადების ერთიანი მოთხოვნების დასაცავად სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს (ბრძანება №01-03/03 2024 წლის 19 მარტი. ცვლილებები ბრძანებაში N01-03/61 და N01-03/68) საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია დოკუმენტბრუნვის ორგანიზების, შემოსული და გასული დოკუმენტაციის, ბრძანებებისა და ბრძანებების ასლების, დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალების წარმოების წესი, წერილების დამუშავება და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
- 2 სკოლაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლას 2024 წლის 1 აპრილს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eFlow) განვითარება, მხარდაჭრა, ტექნიკური მომსახურება, მიმწოდებლის სერვერზე განთავსება და მისი ადმინისტრირების მომსახურების შესყიდვა. სკოლას ასევე აქვს კორპორატიული მეილები infobatumi@schoolprogress.ge შიდა მიმოწერისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა არის პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება
- 4 .სკოლა არის პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი (ბრძანება №.01-03/03 2024 წლის 19 მარტი. ცვლილებები ბრძანებაში N01-03/61 და N01-03/68);
- ა(ა)იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის შესყიდვასთან დაკავშირებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა გეგმავს საზოგადოებასთან კომუნიკაცია განახორციელოს ოფიციალური ვებგვერდის, სატელეფონო კავშირის, სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის, საინფორმაციო დაფის, ელექტრონული ჟურნალი Edupage-ის და პირდაპირი კომუნიკაცია/ შეხვედრების ფორმატით. კომუნიკაციის ეფექტიანად მართვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს შპს ამერიკული საერთაშორისო



სკოლა პროგრესი - ბათუმის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი ბრძანება N01-03/31 (30 .03.2024 წ.). სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი <https://progressbatumi.ge/> დომენი - progressbatumi.ge და ჰოსტინგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იღებს ვალდებულებას მუდმივად უზრუნველყოს სანდო, ობიექტური და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის საშუალებით. ვებ-გვერდზე მოხდება ხდება ყველა მნიშვნელოვანი სიახლის განთავსება, რასაც ადმინისტრირებას გაუწევს სოციალური და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერი. ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე/ტექნიკურ მართვაზე პასუხისმგებელია WEB დეველოპერი სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე/ტექნიკურ მართვაზე პასუხისმგებელი კი სოციალური და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა გეგმავს სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმებიდან შემოსული შეკითხვების, შენიშვნების და/ან რეკომენდაციების ყოველდღიურ ანალიზს სოციალური და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერისა და კომუნიკაციის მენეჯერის დახმარებით. ანალიზის შედეგების გათვალისწინებით მოხდება რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც წარედგინება აღმასრულებელ დირექტორს/სკოლის დირექტორს/სამსახურის უფროსს ფინანსურ საკითხებში. რეკომენდაციების საფუძველზე იგეგმება კომუნიკაციის მექანიზმების და საკომუნიკაციო არხების მუშაობის გაუმჯობესება სოციალური და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერისა და კონტენტ მენეჯერის ჩართულობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი progressbatumi.ge რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო აღწერილობები;
- სკოლის სტრუქტურა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- ვებგვერდი progressbatumi.ge;
- ბრძანება N01-03/31, საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე (30 .03.2024 წ.);
- ხელშეკრულება სისტემის ლიცენზიის სარგებლობაში გადაცემის შესახებ (Edupage);



- ხელშეკრულება შ.პ.ს. პროსერვისთან დომენის თაობაზე;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სავარაუდო ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო ხარჯები ასევე სამოქმედო გეგმაში გაწერილი ვალდებულებებისათვის საჭირო თანხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის ფინანსური რესურსები იმართება ფინანსური სამსახურის მიერ, რომელიც წარმოდგენილია სკოლის ფინანსური და ბიზნესის განვითარების დირექტორის და ბუღალტრის სახით. ფინანსური და ბიზნესის განვითარების დირექტორი შეიმუშავებს ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიას, გეგმავს და მართავს ფინანსურ საქმიანობას, შეიმუშავებს და პრაქტიკაში განახორციელებს საგადასახადო პოლიტიკას, ახდენს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების დაანგარიშებაზე ზედამხედველობასა კონტროლს, ადგენს და აკონტროლებს ორგანიზაციის წლიურ, კვარტალურ, თვიური ბიუჯეტებს. აკონტროლებს ფულადი სახსრების მოძრაობას. ამზადებს ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგებებს განათლების სექტორში არსებული და საერთაშორისო სტანდარდების მიხედვით და წარადგენს ხელმძღვანელობასთან. სკოლა დარეგისტრირებულია <https://saras.gov.ge/> და შესაბამისად მოხდება კომპანიის ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში. გარდა ზემოაღნიშნულისა წესდების მიხედვით დირექტორი პარტნიორთა საერთო კრებას წარუდგენს გასული სამეურნეო წლის წლიურ ანგარიშს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- ფინანსური და ბიზნესის განვითარების დირექტორის სამუშაო აღწერილობა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- წესდება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მოსწავლის კანონით გათვალისწინებულ უფლებების დაცვა. მოსწავლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტი, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ იქნება დამტკიცებული, სკოლაში მოსწავლეთა დაცვას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების თანამშრომლები (უსაფრთხო სკოლის 4 კოორდინატორი). სკოლის შინაგანაწესით დარეგულირდება მოსწავლის უფლება-მოვალეობა/წახალისება, დისციპლინური წარმოების თავისებურებები, აქვეა გაწერილი დისციპლინური წარმოების წესი და მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები. სკოლა შინაგანაწესით არეგულირებს ასევე განცხადების/საჩივრის განხილვის წესს. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლის უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება და თანაბარ პირობებში სასწავლო მიზნებისათვის ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ისარგებლოს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობებით მიუხედავად რასის, კანის ფერის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანების კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო. სსსმ პირებისათვის საგანმანათლებლო სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობისათვის გეგმავს საჭიროებიდან გამომდინარე ინდგეგმების შემუშავებას. სკოლა არ ზღუდავს მოსწავლეებს და მათ გაერთიანებებს წინასწარ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით შეკრებას. სკოლის მიერ შემუშავებული პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესის მიხედვით სკოლის მოსწავლეს საშუალება აქვს სკოლის ტერიტორიაზე მიიღოს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მოსწავლის პირადი ინფორმაციის დაცვას. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ფაკულტატურული სახით შესთავაზონ მოსწავლეებს კლუბები და წრეები რაც მათ არჩევანის თავისუფლებას აძლევს. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლის სემესტრული გამოცდის ჩაბარების შანსის მიცემას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან ერთის მხრივ როგორც შინაგანაწესის ნაწილი (თავად შინაგანაწესი კი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) და მეორეს მხრივ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს სკოლის ვებგვერდზე მისი განთავსება. სკოლის შიდა ნორმატიული აქტების გაზიარების ვალდებულება აქვთ დამრიგებლებს ასევე პირისპირ შეხვედრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში რომელიც კანონმდებლობის შესაბამისია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ვებგვერდი;
- საშტატო განრიგი;
- ბრძანება N01-03/14 პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესის დამტკიცების თაობაზე (2024 წლის 25 მარტი);
- ბრძანება N01-03/15, შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების თაობაზე (2024 წლის 25 მარტი).

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. (ბრძანება 01-03/22 2014 წლის 25 მარტი). დოკუმენტით განსაზღვრულია როგორც პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის ასევე მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის რეგულაციები, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, სტატუსის შეწყვეტის წესი და პირობები. წარმოდგენილი დოკუმენტი კანონმდებლობის შესაბამისია. ის განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და საჯაროა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხების გადაწყვეტისას სკოლა იხელმძღვანელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და სკოლის მარეგულირებელი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, სკოლის შიდა პოლიტიკა, მოსწავლის ქცევის ნორმები, დისციპლინური დევნის სახეები და სხვა დაკავშირებული საკითხები ასახულია სკოლის შინაგანაწესში, რაც ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, დამრიგებლები დამატებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის/მშობლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აკისრებს ვალდებულებას, ინფორმაცია სასწავლო გეგმის, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ გაავრცელოს მხოლოდ განახლებული და გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 01-03/22 მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე (25მარტი, 2024 წ.);
- შინაგანაწესი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება ;
- ბრძანება №01-03/031 საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე (3003. 2024 წ.);
- ბრძანება N01-03/48 დამრიგებლის დებულების დამტკიცების თაობაზე (05.04.202 წ.);
- ბრძანება №.01-03/31 საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე (30.03.2024 წ.).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწყევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 წლის 25 მარტის N 01-03/23 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლა სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეთა, სსსმ მოსწავლეების და აგრეთვე იმ მოსწავლეების ჩართულობა/ადაპტაციის პროცესს, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერი. იდენტიფიცირებულია ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელიც გასათვალისწინებელია მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციის ხელშეწყობისთვის, ცალ-ცალკეა განსაზღვრული პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობი ფაქტორები, განსაზღვრულია წარმატებული და წარუმატებელი ადაპტაციის მახასიათებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა ფუნქციონირების დაწყებას გეგმავს 2024-2025 სასწავლო წლიდან, შესაბამისად, სკოლა იმოქმედებს შიდანორმატიული აქტით და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (ბრძანება N01-03/46, 05.04.202 წ). დებულების თანახმად სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით ჯგუფი იზრუნებს მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული



პრობლემების იდენტიფიცირებასა და დახმარების პროცესის ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენასა და . მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესთან და სასკოლო აქტივობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დროულად მიწოდებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში გაუწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესი და პირობები, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს 30% გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელ ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დამღევის წესი. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. მობილობის, სტატუსის შეჩერების და განახლების ვადები, ინფორმაცია სტატუსის შეწყვეტის შესახებ განთავსებულია ვებგვერდზე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მაგალითები არ აქვს, თუმცა, სკოლაში არის ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახური რომლის ვალდებულებაცაა ინოვაციური და არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლაში სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების ინიცირება, დანერგვა, განხორციელება, შემდგომი განვითარება და შესრულების მონიტორინგი. სკოლაში განსაზღვრულია STEM კლუბის ხელმძღვანელის და ლაბორატორიის ასისტენტის თანამდებობა ასევე, მოსწავლეთა თვითმმართველობის კოორდინატორის პოზიცია. ჩამოთვლილი თანამდებობების სამუშაო აღწერილობიდან გამომდინარე სკოლა დადგენილი წესითა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა გაითვალისწინებს მოსწავლეების და მათი კანონიერი წარმომადგენლებისაგან, ასევე, სკოლის პერსონალისაგან უკუკავშირის მიღების მექანიზმებს, რისთვისაც შემუშავებული აქვს ანონიმური გამოკითხვების კითხვარები რაც ემსახურება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 01-03/23 მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესის დამტკიცების თაობაზე;
- ბრძანება 01-03/46 (05.04.2024 წ) მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების თაობაზე;
- სკოლის ვებგვერდი;

- საშატო განრიგი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას IX-XI კლასის მოსწავლეთათვის შემუშავებული აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, რომლის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში, მოახდინოს მათი ინფორმირება პროფესიათა მახასიათებლებზე და კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელთათვის აუცილებელ ცოდნასა და უნარებზე. სკოლა გეგმავს პროფესიული პროგრამის დამატებას რაც ასევე მოემსახურება მოსწავლეთა პროფორიენტაციის თვალსაწიერის გაფართოებას. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანაა მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერა რაც 2024-2025 სასწავლო წელს გულისხმობს კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მიზნით საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებთან ტრენინგების ჩატარებას, პროფესიული ორიენტაციის მიზნით საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზებას, „ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ მინი კომპანიების კონკურსში მონაწილეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად მიაწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლა გეგმავს თავადაც იყოს პროფესიული განათლების პროგრამების მიმწოდებელი ინსტიტუცია გარდა აღნიშნულისა იღებს ვალდებულებას, რომ მუდმივად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. დამრიგებლებისა და პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის თანამშრომლების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

